შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“

<u>გამარჯვების სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაზე წყალსარეგულაციო ფარების მოწყობა, მაგისტრალურ არხზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების კვანძების, სარეგულაციო ფარების და მეორე რიგის გამანაწილებლებზე სათავისების სარეაბილიტაციო სამუშაოების</u>

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV 45247000

ქ. თბილისი
2013 წ.

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

4. ტექნიკური მოთხოვნები

5. დანართი №1 - ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

6. დანართი №1.1. - ტიპიური ხარჯთაღრიცხვები

7. დანართი№2 - თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებზე

8. დანართი№3 - სამუშაოს მიწოდების ვადები და პირობები

9. დანართი№4- რეკვიზიტების ფორმა

10. დანართი №5 - ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ

11. დანართი №6 - სატენდერო შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია:

ა) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) - დანართი №1 და დანართი №1.1.(ტიპიური ხარჯთაღრიცხვები)

ბ) დანართი №2 - თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკური მოთხოვნებზე

გ) დანართი №3-თანხმობა სამუშაოს მიწოდების ვადებსა და პირობებზე, სამუშაოების წარმოების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი ძირითადი ობიექტების დასახელებისა და ღირებულების მითითებით.

გ) დანართი №4 - რეკვიზიტები

დ) დანართი №5 -ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ

ე) დანართი №6 - ინფორმაცია სატენდერო შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებზე,

ვ) სატენდერო წინადადების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში)

- ✓ ***შენიშვნა**: ტექნიკური დოკუმენტაციის 2.1. პუნქტით წარმოდგენილი ინფორმაციის ყველა გვერდი უნდა იყოს ბეჭდით დამოწმებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ*

2.2.ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

2.2.1. ტექნიკური დავალება განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ის მიხედვით. გასაწევი სამუშაოს ჩამონათვალი განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი N1.1. (ტიპიური ხარჯთაღრიცხვები) მიხედვით.

2.2.2. სამუშაოს შესრულების ვადა-ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს **80** სამუშაო დღის განმავლობაში ხოლო ობიექტზე შესვლის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

2.2.3. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების წარმოების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი ძირითადი ობიექტების დასახელებისა და ღირებულების მითითებით, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე მომხმარებელთან აღებული აქვს წყლის მიწოდების ვალდებულება, როდესაც სამელიორაციო დანიშნულების ინფრასტრუქტურა - არხები დაკავებული აქვს წყალს (სავარაუდოდ 1 მაისიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში).

2.2.4. ტექნიკური დოკუმენტაციის 2.2.3 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი შემსყიდველთან შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების პროცესში.

2.3.სატენდერო წინადადების ფასი და დაანგარიშების წესი

2.3.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი N1–ისდა დანართი N1.1.მიხედვით.

2.3.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ასევე სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო მასალებისა და მანქანა-მექანიზმების ტრანსპორტირების, აუცილებელი ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლების, დასუფთავების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვის ხარჯი და ყველა სხვა ხარჯი, რომელიც აუცილებელი იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან. ხარჯები, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული სატენდერო წინადადების ფასში არ ანაზღაურდება.

2.3.3. ხარჯთაღრიცხვის შედგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება No 1-1/1463 2012 წლის 12 ივლისი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

2.3.4. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

2.4.ანგარიშსწორების პირობები

2.4.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სამუშაოების შესრულების შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტის ან სხვა) და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე*(თეთრ სიაში შეყვანილ მიმწოდებლებზე გარანტიის ოდენობა ნახევრდება)*, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.4.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.4.4. სამუშაოთა შესრულების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნი შესრულების გამო (ასეთის არსებობისას).

2.4.5. წინასწარი ანგარიშსწორებისას, წინასწარ (ავანსი) გადარიცხული თანხის გამოქვითვა განხორციელდება შემდეგი პირობით: ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა, ხოლო 80%-ის ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ტექნიკური დოკუმენტაციის 2.4.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად.

2.5.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

2.5.1. ტენდერში გამოიყენება საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2.5%-ის ოდენობით.

2.5.2. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

2.5.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობები

2.5.2.1.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.5.2.2.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

2.6.დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

2.7. დამატებითი ინფორმაცია:

2.7.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამის ტენდერში**„ტენდერი გამოცხადებულია“** სტატუსის მინიჭებიდან **„წინადადების მიღება დასრულებულია“** სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.

2.7.2. ტენდერთან დაკავშირებული განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში **„წინადადების მიღება დასრულებულია“** სტატუსის მინიჭებამდე.

2.7.3. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში 2.7.1. პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, შესაბამის ტენდერში **„შერჩევა/შეფასების“** სტატუსის მინიჭებიდან **„ხელშეკრულება დადებულია“** სტატუსის მინიჭებამდე.

2.7.4. ტენდერში დაინტერესებულ ყველა პირს ასევე ეძლევა შესაძლებლობა სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებები და დამატებითი ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქო პირი შალვა ქაჯაია, ტელეფონი: 599925575, თამაზ ხვედელიძე 577080201.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

- **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

✓ ***<u>შენიშვნა:</u>***

არარეზიდენტმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

3.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს შესაბამის ტენდერში **„წინადადების მიღება დაწყებულია“** სტატუსის მინიჭების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პირების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები გაცემული უნდა იყოს შესაბამის ტენდერში **„წინადადების მიღება დაწყებულია“** სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

3.3. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების ასლების წარმოდგენა ხორციელდება სისტემის მეშვეობით, ხოლო ორიგინალი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შესყიდვის პროცედურებიდან.

✓ ***<u>შენიშვნა:</u>***

თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან.

ტექნიკური მოთხოვნები

ტექნიკური დავალება

4.1. შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი განსაზღვრულია **სატენდერო დოკუმენტაციის** დანართი №1-ისა და დანართი N1.1. მიხედვით.

4.2. სამუშაოთა წარმოების პირობები (წესი)

სამუშაოთა წარმოების პირობები, განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის შემადგენელი ნაწილები, ნახაზები და დეტალური სპეციფიკაციები განსაზღვრულია ამ ტექნიკური დავალების დანართებში, რომლებიც ატვირთულია ცალკე ფაილების სახით ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მათ შორის:

- ტექნიკური დავალება
- ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოება
- ნახაზების ჩამონათვალი და ნახაზები

<u>შენიშვნა:</u> *ტექნიკური დავალების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ტექნიკური დავალებისა და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს*

4.3. პრეტენდენტის გამოცდილება

მოთხოვნა შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №5-ით.

4.4. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები

შესრულებულ სამუშაოებზე ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ობიექტზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან გარანტიის ვადა შეადგენს არანაკლებ **1(ერთი)** წლისა.

4.5. ქვეკონტრაქტორები

მიმწოდებელი უფლებამოსილია, უზრუნველყოს სამუშაოს წარმოება ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ქვეკონტრაქტორის მონაწილეობით მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ამასთანავე ქვეკონტრაქტის მიერ შესასრულებული სამუშაოს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯამური ღირებულების 40%-ს.

4.6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.8.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესრულების შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტის ან სხვა) საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოს ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად.

4.8.2. მიღება-ჩაბარების გაფორმების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს მოცულობები და ღირებულებები ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

4.8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე განსაზღვრული პირ(ებ)ი შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან (ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური დავალება, მიწოდების ვადები) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტს, ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს.

4.8.4. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე განსაზღვრული პირი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაო და/ან მოცულობა არაობიექტური მიზეზის გამო არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო ან მისი ნაწილი.

4.8.5. სამუშაოთა საბოლოო მიღება.

- მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების ფორმასა და წევრებს განსაზღვრავს შემსყიდველი.
- სამუშაოთა დასრულებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრულ სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში.
- სამუშაოთა დასრულების შესახებ მიმწოდებლის მხრიდან გამოგზავნილი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი განსაზღვრავს სამუშაოთა მიმღებ კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღებას.
- სამუშოს მიმღები კომისია ამოწმებს სამუშაოთა მოცულობებს და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

4.8.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და/ან წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.8.7. სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.8.8. შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამუშაოს ეტაპის ან საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებისას შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს მის მიერ შერჩეულ საექსპერტო დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში, სამუშაოს მიღება-ჩაბარება განხორციელდება ექსპერტის/სპეციალისტის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

დანართი №2

თანხმობა

სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებზე

ამით ვადასტურებ, რომ სრულად მაქვს გაცნობილი ყველა ტექნიკური მოთხოვნა, ტექნიკური დავალება და დანართები და სამუშაოს შესრულებას ვუზრუნველყოფ მათი განუხრელი დაცვით.

_____ _____

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა, ბ/ა

დანართი №3

მიწოდების ვადები და პირობები

1. სამუშაოს შესრულებას (მიწოდებას) დავიწყებთ ხელშეკრულების გაფორმებიდან და დავასრულებთ არაუგვიანეს: _____ სამუშაო დღის (არაუგვიანეს 80 სამუშაო დღისა) განმავლობაში.

2. აგრეთვე წარმოგიდგენთ დანართი N3-ის პირველი პუნქტით შემოთავაზებული ვადის შესაბამისად ძირითად ობიექტებზე სამუშაოების შესრულების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკს ტექნიკური დოკუმენტაციის 2.2.3 და 2.2.4 პუნქტებით შესაბამისად იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე მომხმარებელთან აღებული აქვს წყლის მიწოდების ვალდებულება, როდესაც სამელიორაციო დანიშნულების ინფრასტრუქტურა - არხები დაკავებული აქვს წყალს (სავარაუდოდ 1 მაისიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში).

_____ _____

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა, ბ/ა

დანართი №4

რეკვიზიტები

- პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტის მისამართი:
- მომსახურე ბანკი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

_____ _____

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა, ბ/ა

დანართი №5

ინფორმაცია ბოლო 3 წლის (2011, 2012, 2013) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ

N	დამკვეთის დასახელება	სამუშაოს დასახელება თითოეული ობიექტის მიხედვით	შესრულების პერიოდი	შესრულებული სამუშაოს ღირებულება(*)	შენიშვნა
1					
2					
..					

_____ _____

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა, ბ/ა

შენიშვნა:

აუცილებელი მინიმალური მოთხოვნა:

1. ბოლო 3 წლის განმავლობაში ზოგადი სამშენებლო გამოცდილება საერთო მოცულობით 400,000 (ოთხასი ათასი) ლარი (უნდა დადასტურებულ იქნეს ხელშეკ-რულებებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების ან დამკვეთის მიერ დამოწმებული სამუშაოების საბოლოო მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლების წარმოდგენით).
2. ბოლო 3 წლის განმავლობაში 1 მსგავსი ხელშეკრულების შესრულების გამოცდილება საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 150,000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი. მსგავსი ხელშეკრულება უნდა იყოს დასრულებული. (უნდა დადასტურებულ იქნეს ხელშეკრულებებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების ან დამკვეთის მიერ დამოწმებული სამუშაოების საბოლოო მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლების წარმოდგენით)
3. მსგავსი სამუშაოები გულისხმობს სამელიორაციო/ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

<u>საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.</u>

დანართი N6

ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ

ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ობიექტზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან ვავრცელებთ გარანტიას1(ერთი) წლის ვადით და ვიღებთ ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით გამოვასწოროთ ყველა სახის დეფექტი.

_____	_____
პრეტენდენტის დასახელება	ხელმოწერა, ბ/ა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

----------2014 წ

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“, წარმოდგენილი მისის დირექტორის ვაჟა კირტავას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ _____ წარმოდგენილი მისი ——————— სახით

1. **ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

შემსყიდველმა გამოაცხადა **<u>გამარჯვების სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაზე წყალსარეგულაციო ფარების მოწყობა, მაგისტრალურ არხზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების კვანძების, სარეგულაციო ფარების და მეორე რიგის გამანაწილებლებზე სათავისების სარეაბილიტაციო სამუშაოები</u>** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერი (განცხადების №SPA_____, 45247000 - დამბების, არხების, სარწყავი არხებისა და აკვედუკების/ღარხიდების მშენებლობა) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა, როგორც გამარჯვებულმა კომპანიამ, აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო ---------- ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

2. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.სამუშაოს მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული სამუშაოს - ხელშეკრულების დანართებთან (ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), ტექნიკური დავალება) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა, ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირ(ებ)ი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოს მიწოდების პირობები და ვადები, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები განსაზღვრულია დანართებით, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ქვეკონტრაქტორები

4.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებელი უფლებამოსილია უზრუნველყოს სამუშაოს წარმოება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით.

4.2. ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმების უფლების მიღება მიმწოდებელს გააჩნია მხოლოდ შემსყიდველთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული უფლების მისაღებად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა ქვეკონტრაქტით შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მითითებით.

4.3. ქვეკონტრაქტ(ებ)ით შესასრულებელი სამუშაოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს პროექტით გათვალისწინებული მთლიანი სამუშაოს ჯამური ღირებულების 40%-ს.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით.

4.5. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგზე შემსყიდველის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ მიმწოდებელი.

4.6. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს მიწოდებას და შესაბამისად სამუშაოს ჩაბარებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.7. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოს ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად.

5.2. მიღება-ჩაბარების გაფორმების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს მოცულობები და ღირებულებები ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

5.3. ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებით (ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), ტექნიკური დავალება, მიწოდების ვადები) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტს, ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაო და/ან მოცულობა, არაობიექტური მიზეზის გამო, არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო ან მისი ნაწილი.

5.5 სამუშაოთა საბოლოო მიღება

5.5.1. მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარება ხორციელდება კომისიის მიერ რომლის ფორმირების წესს და შემადგენლობას განსაზღვრავს შემსყიდველი.

5.5.2. სამუშაოთა დასრულებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრულ სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში.

5.5.3. ხელშეკრულების 5.5.2. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი განსაზღვრავს სამუშაოთა მიმღებ კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღებას.

5.5.4. სამუშოს მიმღები კომისია ამოწმებს სამუშაოთა მოცულობებს და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.7. სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლისაღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.8. შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამუშაოს ეტაპის ან საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებისას შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს მის მიერ შერჩეულ საექსპერტო დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში სამუშაოს მიღება-ჩაბარება განხორციელდება ექსპერტის/სპეციალისტის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4. სამუშაოთა შესრულების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნი შესრულების გამო (ასეთის არსებობისას).

6.5. წინასწარი ანგარიშსწორებისას, წინასწარ (ავანსი) გადარიცხული თანხის გამოქვითვა განხორციელდება შემდეგი პირობით: ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების არაუმეტეს 20 %-ის ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა, ხოლო 80%-ის ანაზღაურება განხორციელდება ამ ხელშეკრულების პუნქტი 5.3-ით გათვალისწინებული პირობებით.

6.6. იმ შემხვევაში თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედებისპერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს), ავანსის სახით გადარიცხული თანხის ფარგლებში მიმწოდებლის მხრიდან შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების პროპორციულად გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე.

6.7.იმ შემხვევაში თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულვადაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებას და მხარეებიშეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ან/და ახალი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს გაგრძელებულ ვადას .

7.მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მომართვიდან არსებული ხარვეზის ან/და ნაკლოვანების აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრულ ვადაში.

7.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიცდაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. გაავრცელოს შესრულებულ სამუშაოებზე გარანტია ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. გამოყოფილი სახსრების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს„მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსებახელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.1.2.მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სამუშაოები აწარმოოს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის გამოყენებით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.

8.2.2.განიხილოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

8.2.3.მისცეს მიმწოდებელს მითითებები წინამდებარე ხელშეკლკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით,სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სამუშაოს მიწოდებისთვისსაჭიროსაქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებითდა სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგანწერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობსგამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროსშემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანიიმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებისდადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას,ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვითმიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ

გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

13.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი "მიმწოდებლის"მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო,მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5% (თეთრ სიაში შეყვანილი მიმწოდებლისთვის 2.5%) ____( )ლარის ოდენობით, რომელიც ძალაშია _____;

13.2. იმ შემხვევაში თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებას და მხარეები შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ან/და ახალი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადამინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს გაგრძელებულ ვადას.

13.3. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება შემდეგ შემთხვევებში:

13.3.1.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს სახელშეკრულებო ღირებულების 0,07 %ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 14.2.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 3 პროცენტსდა მხარეები ვერ შეთანხმდებიან სამუშაოს შესრულების ვადის გაზრდაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივადშეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკოგარანტიით განსაზღვრულ ვადაში მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტი)საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდა.

14.2.3.ხელშეკრულების 14.2.2. პუქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების 14.2.1.პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

14.2.4. პირგასამტეხლოს დარიცხვა ან გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

14.3.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიანისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგანდამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

14.3.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 14.3.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანოდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

14.3.3. ხელშეკრულების 14.3.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადისგაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის ---------- ჩათვლით (არაუმეტეს 2014 წლის 30 ივნისისა ხოლო კონკრეტული ვადა დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს).

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია _____გვერდზე, 3 (სამ)ეგზემპლარად და თითოეულმათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების 1(ერთი) ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ხოლო 2 (ორი),,შემსყიდველთან''

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“